



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 128

2017 წლის 14 სექტემბერი  
ქ. თბილისი

**ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2017 წლის კონკურსის  
ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების მოხსნის შესახებ**

“ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N84 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, „2017 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 16 ვნისის N74 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2017 წლის 11 სექტემბრის სამსახურებრივი ბარათის (N1045994) შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საპროექტო განაცხადები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ნინო გაჩეჩლაძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

**ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების  
 2017 წლის კონკურსიდან მოხსნილი პროექტები**

N	შიფრი	წამყვანი ორგანიზაცია	პროექტის სახელწოდება	პროგრამული შეუსაბამობა	ფინანსური შეუსაბამობა	იურიდიული ხარვეზი
1	FR17_8	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ასაკობრივი პათოლოგიების ეტიოლოგიის კვლევის საფუძველზე გერიატრიულ-პრევენციული საშუალებების შემუშავება		დარღვეულია ძირითადი პერსონალის (არაახალგაზრდა მეცნიერების) საგრანტო დაფინანსების ლიმიტები.	
2	FR17_9	ფიზიკა მათემატიკის მეცნიერებათა აკადემია	მაგისტრალურ მილსადენებში არასტაციონალური პროცესების კვლევა მათი ექსპლუატაციის საიმედოობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების გაზრდის მიზნით	გეგმა გრაფიკი არ ითვალისწინებს სამეცნიერო პროდუქტის შექმნას (სტატია, მონოგრაფია, საერთაშორისო ღონისძიება ან პატენტი).		
3	FR17_11	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„მატეს“ ტიპის ჩაის მიღების ალტერნატიული ნედლეული და ტექნოლოგია	ძირითადი პერსონალიდან ერთი პირი ჩართულია 3 საგრანტო პროექტში: კონკურსზე წარმოდგენილ 2 პროექტში FR17_11 და FR17_41, და დაფინანსებულ დაუსრულებელ პროექტში AR/41/10-150/13		
4	FR17_14	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ახალი დიაზოლ/ტრიაზოლ /დიბენზოთიოფენ შემცველი ტეტრა/პენტაციკლური სისტემები : სინთეზი და იდენტიფიკაცია		დარღვეულია ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსების ლიმიტები.	